ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ა/წლის 4 ოქტომბრის №10/17608 წერილის საფუძველზე, საჯაროდ გამოქვეყნების მიზნით, დანართის სახით, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შორენა ბუხრაშვილის 2016 წლის მუშაობის ანგარიშს.

დანართი: 16 (თექვსმეტი) ფურცელი და

1 CD-დისკი.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

შორენა ბუხრაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლის რაოდენობა 17 ფურცელი
№10/17608 20.10.16

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შორენა ბუხრაშვილის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შორენა ბუხრაშვილის აქტივობა:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ეროვნული ფორუმის” მდივანი.
- საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრი.

2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე გაწეული სამუშაოები

- მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, 2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, განვახორციელე შემდეგი სამუშაოები:

- 2016 წლის 3 იანვრიდან დღემდე ჩატარებული იქნა კომისიის 20 სხდომა.

გარემოს დაცვის კომისიის 20 სხდომაზე, განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული 56 საკითხი (მათ შორის, მოქალაქეთა წერილები და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტები).

- კომისიის პრიორიტეტები:

1. გამწვანების მიმართულება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის 2016 წლის 16 თებერვლის სხდომაზე (ოქმი №3) მოსმენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2015 წლის სამუშაო ანგარიში. აღნიშნულ სხდომაზე, ასევე, მოსმენილი იქნა ინფორმაცია სამსახურის მიერ დაგეგმილი და 2016 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და აქცენტი გაკეთდა გამწვანებისა და გარემოს დაცვის კუთხით შექმნილ პრობლემებზე, კერძოდ, საბიუჯეტო ასიგნებების სიმწირის გამო დროებით შეჩერებულ პროექტებზე; გამწვანების ერთიანი კონცეფციის და მონაცემთა ბაზის არარსებობაზე; გაშენებული რაიონებისა და ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, გამწვანების საერთო ფართობის სიმცირეზე; ქ. თბილისის მწვანე საფარის ინვენტარიზაციის ჩატარების აუცილებლობაზე; ქ. თბილისში ინფრასტრუქტურული და სხვა სახის სამშენებლო სამუშაოების დროს გარემოსდაცვითი ასპექტის უგულებელყოფაზე; ჰაერის დაბინძურების მაღალ დონეზე, რომელიც აჭარბებს დასაშვებ ნორმებს; ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის პრინციპების არარსებობაზე და სხვა პრობლემურ საკითხებზე.

ასევე, კომისიის სხომებზე განხილული იქნა:

1) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიებისა და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობის წესის

დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. აღნიშნული ცვლილების მიზანი იყო, საკანონმდებლო საფუძველის შექმნა, რათა დედაქალაქის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად ცნობის შემთხვევაში, გამწვანებული და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ხარისხიანად შესრულების მიზნით, გარკვეული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა და შესაბამისი სამუშაოები განეხორციელებინა მუნიციპალურ საწარმოს;

2) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა აბაშიძის მიერ ა/წლის 15 თებერვლის №04/2670 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილისის პარკების“, შპს „უძრავი ქონება - თბილისის“ და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ რეორგანიზაციასთან (შერწყმასთან (მიერთებასთან)) დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ნარმანიას მიერ ა/წლის 18 თებერვლის №04/2984 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „სინათლის ქალაქისა“ და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ რეორგანიზაციასთან (შერწყმასთან (მიერთებასთან)) დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტები, რომლის საფუძველზე, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ფუნქციაში მოექცა როგორც მიწისქვეშა გადასასვლელების, ასევე დასასვენებელი და გამწვანებული ტერიტორიების (პარკები, სკვერები და სხვ.) მოვლა-პატრონობა თანმდევი სამუშაოებით.

3) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულების დმატკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №22 დეკემბრის №19-68 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისა და საკადრო რესურსების მართვის რაციონალიზაციის მიზნით, დღის წესრიგში დადგა ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის საკითხი, რა მიზნითაც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ნარმანიას ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. როგორც ქ. თბილისის საკრებულოს წევრი და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე, აქტიურად ვარ ჩართული სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.

გამწვანების მიმართულებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სარეკრეაციო ზონების საკითხი. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით განისაზღვრა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ახალი ნორმები (პირობები), ასევე, გამწვანების კოეფიციენტის გამოანგარიშების ახალი წესი. სამწუხაროდ, ისევე როგორც გასულ წლებში, დღეს ურბანული დაგეგმარებისას ნაკლებად ექცევა ყურადღება ახალი სარეკრეაციო ზონების გამოყოფას და მათ შემდგომ განვითარებას, ხოლო ახალი კორპუსების ჩადგმისას, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას გამწვანების კოეფიციენტს (კ3).

ფუნქციური ზონების ცვლილებებთან დაკავშირებით, კომისიის კომპეტენციიდან გამომდინარე, კომისიის სხდომაზე განხილული იქნა „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების პროექტები (სულ: 32 პროექტი) და მათზე დართული განმარტებითი ბარათები. კომისიის სხდომებზე ფუნქციური ზონების ცვლილებებთან დაკავშირებით, დეტალურად განიხილებოდა ის წინადადებები, რომლებიც ეხებოდა სარეკრეაციო ზონების ცვლილებებს. კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ არგუმენტირებული დასაბუთების და/ან დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა და/ან დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული წინადადებების/პოზიციების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კომისიამ უარყოფითად შეაფასა ფუნქციური ზონის ცვლილების 2 საკითხი, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ნარმანიას 2016 წლის 20 სექტემბრის №04/16817 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილებების პროექტი (რომლის განმარტებითი ბარათი ითვალისწინებდა ფუქნციური ზონების ცვლილების 5 წინადადებას) 2016 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი №20) მიღებული გადაწყვეტილებით, არ განიხილა.

2. შინაურ და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხები (მიმართულება)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის 2016 წლის 12 იანვარს სხდომაზე (ოქმი №3) მოსმენილი იქნა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „ცხოველთა

მონიტორინგის სააგენტოს“ 2015 წლის შემაჯამებელი ანგარიში. აღნიშნულ სხდომაზე ასევე, მოსმენილი იქნა ინფორმაცია სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ მიერ დაგეგმილი და 2016 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

ასევე, კომისიის სხომებზე განხილული იქნა:

1) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სოფლების ძველი ვეძისი, დიდგორი და თელოვანი ტერიტორიაზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტოს შორის 2016 წლის 23 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების საკითხი, რომლის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლისა და „გარეული ცხოველების რეგულირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 ოქტომბრის №146 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სოფლების ძველი ვეძისის, დიდგორისა და თელოვანის ტერიტორიაზე მგლის 10 (ათი) და ტურის 10 (ათი) ინდივიდის რაოდენობის რეგულირების უფლება, მათი გარემოდან ამოღებით;

2) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის საფუძველზეც სააგენტოს ფუნქციებს დაემატა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

3) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის საფუძველზეც

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მეოთხე ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს;

4) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის საფუძველზეც, პირუტყვის მესაკუთრესთვის დაბრუნების წესი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დაცვაზე ზედამხედველობისა და ასევე, აღნიშნული წესის დარღვევების დაფიქსირებისას (რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით), სამართლებრივი რეაგირების უფლებამოსილება, ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა, გადაეცა სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს;

5) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

6) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, კომისიის სხდომებზე, კომპეტენციის ფარგლებში, განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1) საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს №06/22042 (07.12.15წ.) წერილით წარმოდგენილი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული „ნარჩენების მართვის სტრატეგიის (2016-2030წ.წ.)" და „სამოქმედო გეგმის (2016-2020 წ.წ.)" პროექტები;

2) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები (სულ: 2 პროექტი);

3) მოქალაქე ეკა გულუას 2016 წლის 22 მარტის №5496 განცხადება მარშალ გელოვანის გამზირზე ავეჯის სახლის მიმდებარედ (ნაკვეთი: №6/3) მიმდინარე მშენებლობის თაობაზე. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიების შუამდგომლობით, ეთხოვა ქალაქ თბილისის მერს:

- ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე ავეჯის სახლის მიმდებარედ (ნაკვეთი: №6/3) მიმდინარე მშენებლობის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეტანილი №105817/12 ადმინისტრაციული საჩივრის საჯარო მოსმენა (განხილვა) გამართვა 2016 წლის 10 აპრილამდე, საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში;
- ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე ავეჯის სახლის მიმდებარედ (ნაკვეთი: №6/3) მიმდინარე მშენებლობის საკითხის საბოლოო შესწავლამდე და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, მშენებლობის ნებართვის მოქმედების შეჩერება. სამწუხაროდ, კომისიების შუამდგომლობა არ იქნა გათვალისწინებული.

4) ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნინო გოცაძის ანგარიში საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორად მუშაობის პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ;

5) ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №77, 77ა, 77ბ, 77გ, 77დ მაცხოვრებლების (წარმომადგენელი: ტერეზა ერქომაიშვილი) 2016 წლის 20 ივლისის №13537 განცხადება „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის (ნაკვეთი №01/298), მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.14.15.001.316 საკადასტრო ტერიტორიისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის სარეკრეაციო ზონით შეცვლის შესახებ. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, განცხადება და მასზე დართული დოკუმენტაცია, შემდგომი რეაგირებისთვის, შუამდგომლობით, გაიგზავნა სსიპ არქიტექტურის სამსახურში და ეთხოვა:

- შექმნილ ვითარებაში გარკვევა და სხდომაზე დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი ინფორმაციის კომისიაში წარდგენა;
- სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს

შეთანხმებული და კოორდინირებული თანამშრომლობით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება ერთი მხრივ, განმცხადებლების და მთლიანად ნუცუბიძის ქუჩის მაცხოვრებლების, ხოლო მეორე მხრივ, ინვესტორის (შპს „ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტი") ინტერესებისა და კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

6) არასამთავრობო ორგანიზაციების (ცენტრი „ენერგოეფექტურობა და გარემოს დაცვა" და შპს „სითბო") 2016 წლის 22 აგვისტოს სარეკომენდაციო-ინფორმაციული ხასიათის №07/15444 წერილით წარმოდგენილი ინიციატივა მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში, თბომომარაგების ინოვაციური მეთოდების დანერგვისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ.

კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ, მომზადდა და საკრებულოს წარედგინა 33 დასკვნა.

4. კომისიის ინიციატივით:

1) მსოფლიოს გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და არასამთავრობო ორგანიზაციის - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო" ორგანიზებით, მოეწყო აქცია „დავასუფთაოთ მსოფლიო! ერთად დავასუფთაოთ: ჩვენი ეზო... ჩვენი ქუჩა... ჩვენი ქალაქი..." და დასუფთავდა დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორია.

5. 2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე კომისიაში განსახილველად შემოსული წერილები/განცხადებები

2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე კომისიაში შემოვიდა 70 განცხადება/წერილი. აქედან:

1) 54 განცხადება/წერილი - განეკუთვნებოდა უშუალოდ გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციას და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად:

- 23 წერილი/განცხადება - შემდგომი განხილვის მიზნით გადაიგზავნა შესაბამის მუნიციპალურ ორგანოებში და შუალედური პასუხი ეცნობა მოქალაქეებს;
- 7 წერილზე/განცხადებაზე - წერილობითი პასუხი ეცნობა განმცხადებლებს;
- 9 წერილზე/განცხადებაზე - საჯარო ინფორმაციის გათხოვის საფუძველზე გაცემული იქნა წერილობითი პასუხი, შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტების დართვით;

- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წერილობით მოთხოვილ ინფორმაციაზე გაცემულია 2 პასუხი;

- ცნობის სახით მიღებული იქნა 11 წერილი/განცხადება.

2) 16 განცხადება/წერილი - განხილული იქნა საკრებულოს სხვა კომისიებთან ერთობლივად და კომისიათა შეთანხმების საფუძველზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, გადაიგზავნა შესაბამის ორგანოებში.

6. 2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე კომისიის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია

2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე, სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებიდან, კომისიის მიერ გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაციები - სულ: 6 წერილი. მათ შორის:

- მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების პროექტის თაობაზე;
- „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით" დადგენილი გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მოთხოვნების დაცვის შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მდ. მტკვრისა და მისი მარჯვენა და მარცხენა შენაკადების ხარისხობრივი მდგომარეობის, მათ შორის, ქიმიური, ბიოლოგური და მიკრობიოლოგიური დაბინძურების დონის თაობაზე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საკადრო რესურსების მართვის საკითხების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილებით საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული ყოფილი საბჭოთა კავშირის 1992 წლამდე მოქმედი და შემდგომ პერიოდში მოდიფიცირებული სამშენებლო ნორმებისა და წესების, ასევე ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების (მათი ჩამონათვალის) შესახებ;
- "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ, ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრის (მისამართი: ქ. თბილისი, გიორგი მარუაშვილის ქ. 50), ე.წ. „ხუდადოვის ტყის" და მათ მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ და მათ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების შესახებ განხილული განცხადებების რაოდენობის თაობაზე.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ, 2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე ჩატარებული 18 სხდომიდან მონაწილეობა მივიღე 14 სხდომაში და როგორც კომისიის წევრმა შეივსწავლე 19 საკითხი.

აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ განხილული და 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის შემდეგი საპილოტე პროგრამები:

1) ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპია;
2) ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება;
3) ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსება.

2016 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებია:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა;
- დაავადებათა სკრინინგის პროგრამა;
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა;
- ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა;
- „C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის პროგრამა;
- ძვლის ტვინის ტრანსპალანტაციის პროგრამა.

2016 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული სოციალური პროგრამებია:

- კომუნალური სუფსიდირების პროგრამა - ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახებისთვის (0-დან 200 000 ქულამდე), ზამთრის პერიოდში (იანვარი, თებერვალი, მარტი, ნოემბერი, დეკემბერი) ელექტროენერგიის, დასუფთავებისა და წყლის გადასახადის სუბსიდიის დარიცხვას შემდეგი ოდენობით:
  - ელექტროენერგიის სუბსიდია თვეში - 8,45 ლარი;
  - წყლის მოსაკრებლის სუბსიდია თვეში - 3,15 ლარი;
  - დასუფთავების მოსაკრებლის სუბსიდია თვეში - ერთ სულზე 2,50, ორ სულზე - 5 ლარი, სამ სულზე - 7,50 ლარი და 4 და მეტი სული - 10 ლარი.

- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების ახალშობილთა პროგრამა - რომლის ფარგლებში 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ

ოჯახებს ყოველ მე-3 ახალშობილზე დაერიცხება 800 ლარი, მე-4 ახალშობილზე 1000 ლარი, მე-5 და ყოველ შემდეგ ახალშობილზე 1500 ლარი;

- შშმ მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაციიისა და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობის პროგრამა;
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველ და/ან უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების დაფინანსების პროგრამა;
- ყრუ ინვალიდთათვის თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა;
- 2016 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა - ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სამედიცინო და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსებას.

✓ პროგრამით მოსარგებლეები (პრიორიტეტების მიხედვით) არიან:

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000 -100 000-ს;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 100 000-დან 200 001-ს;
- მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი პირები და მათი ოჯახის წევრები;
- ვეტერანი, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში;
- მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირი;
- დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების ან ქალაქ თბილისზე მზრუნველის სტატუსის მატარებელი პირი;
- სხვა პირები, რომლებიც საკუთარი განცხადების საფუძველზე, მატერიალური მდგომარეობის გამო საჭიროებენ დახმარებას;

- ომის ვეტერანების დახმარების პროგრამა;
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელ.ტრანსპორტით და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურების პროგრამა;
- მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობის პროგრამა;

- უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამა - სასადილოების რაოდენობა 62, ბენეფიციარების რაოდენობა 31 720.
- დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის პროგრამა;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში;
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში;
- მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა- პატრონობის პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარების პროგრამა;
- „ვოლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი მკვეთრად შშმ მქონე უსინათლო პირების დახმარების პროგრამა
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა - ითვალისწინებს 0-დან 100 000 ქულის მქონე ოჯახი ყველა ახაშობილზე დახმარების გაეწევას 500 ლარის ოდენობით;
- შინმოვლის თანადაფინანსების პროგრამა;
- შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა.

❖ მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის" წევრი (ფრაქციის მდივანი), 2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე, დავესწარი ფრაქციის მიერ ჩატარებულ 18 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 83 საკითხის განხილვაში.

❖ მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრი სისტემატიურად ვხდები საბურთალოს რაიონის (დიდი დიღმის, სოფელი დიღმის, ვაშლიჯვრის) მოსახლეობას. მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრისათვის გამოყოფილია კვირაში ერთი, ოთხშაბათი დღე, მაჟორიტარის ბიუროს ოფისში (მისამართი: ქ. თბილისის, პეტრიწის ქ. №8).

1. 2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე, ოთხშაბათობით მოსახლეობასთან შეხვედრის ფორმატში, 2016 წლის იანვრიდან დღემდე შედგა 35 შეხვედრა, სადაც 750-მდე მოქალაქემ მომმართა მათთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში დახმარების თხოვნით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის რანგში მივიღე, განვიხილე და რეაგირება - შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე, - განვახორციელე ფიზიკური და იურიდიული პირების 188 განცხადება/წერილზე.

განხილული 188 განცხადება/წერილიდან:

1) სოციალურ თემატიკას განეკუთვნებოდა - 30 განცხადება/წერილი.
   დაკმაყოფილდა - 8 განცხადება/წერილი;
   არ დაკმაყოფილდა - 6 წერილი/განცხადება;
   განხილვის პროცესშია - 7 წერილი/განცხადება;
   სხვა უწყებებს გადაეგზავნა, დამატებით მოკვლევას საჭიროებს და სხვ. – 9 წერილი/განცხადება.

2) ჯანმრთელობის დაცვის თემატიკას (მათ შორის წამლების დაფინანსებას) განეკუთვნებოდა - 78 განცხადება/წერილი.

   - მკურნალობისა და გამოკვლევების დაფინანსება - 58 განცხადება/წერილი.
     დაკმაყოფილდა - 19 განცხადება/წერილი;
     არ დაკმაყოფილდა - 5 წერილი/განცხადება;
     განხილვის პროცესშია - 34 წერილი/განცხადება.

   - წამლების დაფინანსება - 20 განცხადება/წერილი.
     დაკმაყოფილდა - 5 განცხადება/წერილი;
     განხილვის პროცესშია - 15 წერილი/განცხადება.

3) ინფრასტრუქტურის საკითხებზე გაეწია შუამდგომლობა 34 განცხადება/წერილზე.
   დაკმაყოფილდა - 8 განცხადება/წერილი;
   არ დაკმაყოფილდა - 9 წერილი/განცხადება;
   განხილვის პროცესშია - 6 წერილი/განცხადება;
   სამომავლოდ განიხილება და/ან სხვა უწყებებს გადაეგზავნა - 11 წერილი/განცხადება.

4) უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაეწია შუამდგომლობა 6 განცხადება/წერილზე.
   არ დაკმაყოფილდა - 2 განცხადება/წერილი;
   განხილვის პროცესშია - 4 წერილი/განცხადება.

5) სხვა პრობლემატურ საკითხებზე გაეწია შუამდგომლობა 40 განცხადება/წერილზე.
   დაკმაყოფილდა - 8 განცხადება/წერილი;
   არ დაკმაყოფილდა - 5 განცხადება/წერილი;
   განხილვის პროცესშია - 17 წერილი/განცხადება;
   სხვა უწყებებს გადაეგზავნა, დამატებით დოკუმენტებს საჭიროებს და სხვ. – 10 წერილი/განცხადება.

2. 2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი

წევრის სტატუსით წერილობით იქნა გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია - სულ: 10 წერილი.

აქედან:

- გამოთხოვილი ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული - 5 წერილზე;
- შესაბამისი ინფორმაცია მოწოდებული იქნა - 5 წერილზე.

3. 2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრის სახელზე შემოსული წერილი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ - 1 წერილი.

4. გარდა ზემოაღნიშნულისა, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი აქტიურად ვხდებოდი ჩემი სამაჟორიტარო უბნების მოსახლეობას და ადგილზე ვახდენი პრობლემური საკითხების შესწავლას. აღნიშნულ ფორმატში შედგა შეხვედრები:
   1) ვაშლიჯვარში - დაზიანებული წყლის მილით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების შესახებ;
   2) დიდი დიღმის III მიკრორაიონში - სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების თაობაზე;
   3) დიდ დიღომში:

   - ტერიტორიისათვის სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭების შესახებ;

   - „ე.წ. ბენდუქიძის დასახლებაში" უსახელო ქუჩისათვის სახელის მინიჭების თაობაზე;

   - შიდა ეზოების ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების თაობაზე.

❖ მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, 2016 წლის იანვრიდან დღემდე, საკრებულოს მიერ ჩატარებული 25 სხდომიდან დავესწარი 23 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 426 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქედან, 75 დადგენილების და 341 განკარგულების პროექტის) განხილვა-მიღების პროცესში.

❖ ჩემ მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები:

1. ღონისძიებები:
   - დიღმის ტყე-პარკის გამწვანების ღონისძიებაში მონაწილეობა;
   - თბილისის მეტროს 50 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა;
   - ჯიშიანი ძაღლების საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა;

- შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი პროექტის - „გადავწეროთ ვეფხისტყაოსანი“ პრეზენტაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა;
- სამოქალაქო განათლების პროგრამის - „მომავლის თაობა“ თბილისის რეგიონის აკადემიური წლის შემაჯამებელ ღონისძიებაში მონაწილეობა;
- ქალთა ფორუმის მესამე კონფერენცია - „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად“.

2. მედიასთან ურთიერთობა:

აქტიურად ვთანამშრომლობ მას-მედიის წარმომადგენლებთან, რადგან მიმაჩნია, რომ დედაქალაქის წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში, საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იყოს ჩართული. ამ მიზნით, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრს, მრავალ ტელე და რადიო გადაცემაში მაქვს მონაწილეობა მიღებული.

კერძოდ:

1) პორტალი კვირა
   თემა:
- ზოტანიკური ბაღის შესახებ;
- თბილისში ხეების მოჭრის თაობაზე;
- ავტომომობლების გამონაბოლქვთან დაკავშირებით.

2) რადიო თავისუფლება
   თემა:
- „გენდერული კვოტირების საკითხები“.

3) რუსთავი 2
   - გადაცემა „ბიზნეს კურიერი“

   თემა:
- „სამშენებლო კოეფიციენტების გაზრდით გამოწვეული პრობლემები“;
   - გადაცემა „კურიერი“
   თემა:
- თბილისის ცალკეულ უბნებში ბუნებრივი არის სუნის გავრცელების შესახებ;
- ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში განსახორციელებელი რეორგანიზაციის შესახებ.

4) ტელეკომპანია GDS
   თემა:

- „ბუნებრივი აირის ოდორიზაციის (ხელოვნური დანამატის) შედეგად თბილისის ცალკეულ უბნებში ბუნებრივი არის სუნის გავრცელების შესახებ“.

5) თბილისში მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებით გაიმართა პრესკონფერენცია.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი შორენა ბუხრაშვილი